ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი
N4

ქ. თბილისი; 4 დეკემბერი, 2017 წ. 17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე-თამარ მათიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს პრივატიზების განყოფილების უფროსი-ქვარა ჩართოლანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის 19 ივლისის **№2-1** დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და მის საფუძველზე შესამუშავებელი და სხვა თანმდევ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე საკანონმდებლო პაკეტი.

3. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების მე-3 მიკრორაიონის კორპუსი №28-ში (საკადასტრო კოდი: **№01.18.13.024.017**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #10-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.11.10.010) მდებარე 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფიზიკურ პირებისთვის გულნარა მაღრაძისთვის (პირადი ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01008020508) და ირინე სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01018000241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 05 მაისის N01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკურ პირების: გულნარა მაღრაძის (პ/ნ: 01008012536),ლელა სიამაშვილის (პ/ნ: 01008020508) და ირინე სიამაშვილის (პ/ნ: 01018000241) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N76-ში მდებარე 189003 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 651 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის - გივი გორდაძისთვის (პირადი ნომერი: 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ 2011 წლის 12 იანვრის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს N01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 5 მარტის N01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - გივი გორდაძის (პ/ნ:

01010003118) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში (საკადასტრო კოდი 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. "2009 წლის 20 თებერვალის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებებზე დაფუძნებით.

ბატონმა **გაიოზ თალაკვაძემ** ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა მცირდება **7,471.2 ათასი ლარით** და შეადგენს **818,826.9 ათას** ლარს. მცირდება შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან, რაც დაკავშირებულია მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან, რომლისთვისაც ასიგნებები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, მცირდება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილიც. გარდა ამისა, ბიუჯეტში ფაქტიურად მობილიზებული შემოსულობებიდან გამომდინარე მცირდება შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 25 000,0 ათასი ლარით და ამავე ოდენობით იზრდება შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფაქტიურად მიღებული თანხების გათვალისწინებით პროექტში ასახულია მიმდინარე ტრანსფერის მუხლიდან 500,0 კაპიტალური ტრანსფერის მუხლში გადატანა.

ბატონი **გაიოზ თალაკვაძის** თქმით, წარდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებული რესურსი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:
იზრდება შემდეგი ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 4,759.3 ათასი ლარით ვაგონების კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაციის მიზნით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში 14,2 ათასი ლარით წყალსადენი ქსელის მოწყობის მიზნით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში 350,0 ათასი ლარით ფონიჭალა 3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებისთვის;
- დასუფთავების ღონისძიებები 3 000,0 ათასი ლარით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის #37.09.714 განკარგულების შესრულების მიზნით;
- გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში 22,0 ათასი ლარით;
- 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ვაკის რაიონისათვის განკუთვნილი ასიგნებები - 8,7 ათასი ლარით სტიქიის შედეგად დაზარალებული ერთი პირისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ფულადი დახმარების გასაცემად;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში 170,0 ათასი ლარით თუნუქის სახურავებისა და ლიფტების მიმდინარე შეკეთების მიზნით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში 40,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის განმარტებით, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით იზრდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შემდეგი ქვეპროგრამები:

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია 377,0 ათასი ლარით;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება 643,5 ათასი ლარით;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება 140,0 ათასი ლარით;
- ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა 215,0 ათასი ლარით;
- ტრანსპლანტაცია 1 000,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება 710,0 ათასი ლარით;

- უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში 28,0 ათასი ლარით;
- უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში 60,0 ათასი ლარით;
- უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში 208,5 ათასი ლარით (პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების წლის ბოლომდე მომსახურების უზრუნველსაყოფად);
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში 47,3 ათასი ლარით (სტიქიით დაზარალებულთა ქირების ასანაზღაურებლად);
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში 55,0 ათასი ლარით;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში 8,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება 20,0 ათასი ლარით.

ბატონმა **გაიოზმა** ასევე აღნიშნა, რომ თბილისის რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის საახალწლო ნობათების შესაძენად, არსებული რესურსების გათვალისწინებით, იზრდება სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში, სულ 560,9 ათასი ლარით, ხოლო 2017-2018 ახალი წლის ღონისძიებების დაფინანსებისა და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, იზრდება კულტურის ღონისძიებები 300,0 ათასი ლარით.

მომხსენებელის თქმით მცირდება:

- სახელშეკრულებო, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე გზების მშენებლობა და აღდგენა 505,4 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში 344,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში 60,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში 26,9 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში 150,0 ათასი ლარით;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება 996,1 ათასი ლარით;
- საპროექტო–საძიებო სამუშაოები, პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები და სხვა ხარჯები 120,9 ათასი ლარით;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია 29,5 ათასი ლარით;
- სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაცია 19,9 ათასი ლარით;
- უკანონო ნაგებობების დემონტაჟი 22,4 ათასი ლარით;
- ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება 191,5 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში 60,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში 17,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონში 56,4 ათასი ლარით,

საბურთალოს რაიონში 252,0 ათასი ლარით, ისნის რაიონში 60,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში 160,0 ათასი ლარით;

- გამწვანების ღონისძიებები 575,0 ათასი ლარით;
- კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში 6,0 ათასი ლარით;
- კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში 8,0 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები 1 315.0 ათასი ლარით, ვინაიდან არ შედგა ავტობუსის გაჩერებებისათვის ელექტრონული ტაბლოების შეძენა-მონტაჟი, ინსტალაციისათვის გამოცხადებული ტენდერი პრეტენდენტის არ შემოსვლის გამო, ამავე მიზეზით არ შედგა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლების დამზადება-მონტაჟის ტენდერი;
- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა 373,0 ათასი ლარით სამუშაოების ღირებულების დაზუსტების ხარჯზე, ასევე მ/სადგური „გოცირიძე"- საპროექტო სამუშაოების დაგვიანებით წარმოდგენის გამო ვერ გამოცხადდა ტენდერი კაპიტალური სამუშაოების დაწყებაზე;
- საბაგირო ტრანსპორტის განვითარება 7 471,2 ათასი ლარით, ვინაიდან სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა ტერიტორიის განთავისუფლების შეფერხების გამო;
- ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები 200,0 ათასი ლარით, ეკონომია წარმოშობილია ძეგლების მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხიდან;
- საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები 109,8 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალანსების აუდიტორული შემოწმების მომსახურების შესყიდვა განხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვის ფორმით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში 50,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 15,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში 205,0 ათასი ლარით;
- დაავადებათა სკრინინგი 300,0 ათასი ლარით, ნაშთის არსებობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პროგრამა გადავიდა ვაუჩერულ დაფინანსებაზე, შესაბამისად ზოგიერთი მიმწოდებელი კლინიკები ჩაერთვნენ ეტაპობრივად წლის შუა თვეებში;
- ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია 0,2 ათასი ლარით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ბენეფიციართა რაოდენობის კლების გამო მცირდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები:

- კომუნალური სუბსიდირება 650,0 ათასი ლარით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება 60,0 ათასი ლარით;
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება 10,0 ათასი ლარით;

- უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში 30,0 ათასი ლარით;
- სერვისცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) 80,0 ათასი ლარით;
- ომის ვეტერანების დახმარება 10,8 ათასი ლარით;
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში 4,2 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში 7,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში 4,9 ათასი ლარით, ვაკის რაიონში 2,3 ათასი ლარით, სამგორის რაიონში 6,3 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში 5,6 ათასი ლარით;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში 9,3 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში 26,2 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში 94,4 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში 19,0 ათასი ლარით, ისნის რაიონში 39,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში 7,4 ათასი ლარით;
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა 70,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება 200,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება 100,0 ათასი ლარით;
- შინმოვლის თანადაფინანსება 18,0 ათასი ლარით.

ბატონი **გაიოზ თალაკვაძის** თქმით, ტენდერისა და ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული ეკონომიებით მცირდება:

- უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში 42,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში 3,5 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში 55,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში 7,3 ათასი ლარით, გლდანის რაიონში 24,0 ათასი ლარით.

ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში ქვეპროგრამის ასიგნებები ჯამურად მცირდება **36,2 ათასი ლარით. ასევე;**

- სატენდერო სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიებისა და კაპიტალური ხარჯების დაზუსტების შედეგად მცირდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა 1 847,1 ათასი ლარით;
- ინტელექტუალური საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა 20,0 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია სასკოლო ინიციატივების კონკურსში საჯარო სკოლების ნაკლები მომართვიანობისა და ინიციატივების სიმცირის გამო;
- უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა 60,0 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია ორგანიზაციების ნაკლები მომართვიანობის შედეგად;
- მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე 730,0 ათასი ლარით, ვინაიდან სასახლის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, დაგვიანდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებისთვის ნებართვის გაცემა, რის შედეგადაც ვერ მოხერხდა გათბობა-გაგრილების სისტემის მონტაჟისთვის განკუთვნილი თანხის ათვისება;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები 300,0 ათასი ლარით

- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა 1 955,8 ათასი ლარით, მათ შორის: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული ასიგნებები - რაგბის სპორტული კომპლექსის მშენებლობა 220,8 ათასი ლარით სახელშეკრულებო და სატენდერო ეკონომიის ხარჯზე, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული ასიგნებები - ნაძალადევის სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები - 1 600,0 ათასი ლარით, სატენდერო პროცედურებისა და ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული ეკონომია 135,0 ათასი ლარი; ნაძალადევის რაიონის გამგეობა 11,0 ათასი ლარით; ვაკის რაიონის გამგეობა 15,1 ათასი ლარით; სამგორის რაიონის გამგეობა 53,7 ათასი ლარით;
- ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) 165,7 ათასი ლარი, ეკონომია წარმოშობილია იმ მიზეზით, რომ სესხის საპროცენტო მომსახურება განისაზღვრება ათვისებული თანხის ოდენობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 813 165,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 5 661,9 ათასი ლარი, ასევე შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 746 765,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 818 826,9 ათასი ლარით, ასევე 2017 **წლისათვის** ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო** განისაზღვრა 101 628,1 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, ხომ არ იცვლება სარეზერვო ფონდიდან მიღებული 500,0 ლარის მიზნობრიობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა **ლევან მიქავამ** განმარტა, რომ აღნიშნული თანხის მიზნობრიობა არ იცვლება, არამედ იცვლება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი, ხოლო ტექნიკური დაზუსტების შემდგომ აღნიშნული თანხა მიმდინარე ტრანსფერის მუხლიდან გადავა კაპიტალური ტრანსფერის მუხლში.

ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანი** ასევე დაინტერესდა რით არის გამოწვეული დასუფთავების ღონისძიებების 3 000,0 ათასი ლარით ზრდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა **გაიოზ თალაკვაძემ** განმარტა, რომ გასულ წელს გაზშემკრები დანადგარის შესაძენად გამოყოფილი თანხა დაიხარჯა სხვა მიზნობრიობით, შესაბამისად ახლა ხდება ამ თანხის აღდგენა.

ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილი პროექტით შემცირებულია კომუნალური სუბსიდირება 650,0 ათასი ლარით;

ქალბატონი **ლილეს** თქმით უმჯობესი იქნება კომუნალური სუფსიდირების ფარგლებში განსაზღვრული, თითოეული ბენეფიციარისთვის გამოყოფილი 20 ლარი, რომელიც ხმარდება ბენეფიციარის მიერ ფაქტობრივად დახარჯულ ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების გადასახადს, აღნიშნულმა ბენეფიციარმა მიიღოს ხელზე, რათა შეძლოს ამ თანხის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება, მაგალითისთვის გაზის გადასახადზე.

ბატონმა **გაიოზ თალაკვაძემ** ქალბატონი ლილეს საპასუხოდ განმარტა, რომ გასულ წლებში როდესაც თანხა ხელზე ეძლეოდათ ბენეფიციარებს, ხშირ შემთხვევაში აღნიშნული თანხა კარგავდა მიზნობრიობას და იხარჯებოდა სხვა საჭიროებებზე. ბატონი **გაიოზის** თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული წესი ითვალისწინებს მხოლოდ ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების ხარჯების სუბსიდირებას, ხოლო აღნიშნული თანხა ირიცხება არა ბენეფიციარების არამედ პროვაიდერების ანგარიშზე.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს **„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი** და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- **„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:“**

აღნიშნული პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების)) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით და იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება.

ასევე, იურიდიულ საკითხთა კომისიის **თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, **დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში უნდა** მიეთითოს აგრეთვე **№30-87დადგენილების საქართველოს საკანონმდებლო** მაცნეზე **განთავსების** თარიღი და **სარეგისტრაციო კოდი.**

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული არ არის დადგენილების ძალაში შესვლის თარიღი და მიზანშეწონილია რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში მიეთითოს,, ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილება დაიყოს მუხლებად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.
შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში **(სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 21/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.101.016342)** და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.''

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და მის საფუძველზე შესამუშავებელი და სხვა თანმდევ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე საკანონმდებლო პაკეტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული რეალობისა და გამოწვევების გათვალისწინებით, დედაქალაქის მართვის პოლიტიკის ოპტიმიზაციის

მიზნითა და ასევე წინასაარჩევნო დაპირებების ფარგლებში, გაცხადებული ძირითადი პოლიტიკიდან, ერთ-ერთის, სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომპეტენციის სფეროდან ტრანსპორტის საკითხების გამოყოფა და საკრებულოს მიერ სატრანსპორტო სფეროში შემავალ საკითხებზე უფრო ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ცალკე კომისიად ჩამოყალიბება, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის იურიდიულ საკითხთა კომისიასთან გაერთიანება.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, ფართოვდება იურიდიულ საკითხთა კომისიის კომპეტენციის სფერო და იურიდიულ საკითხთა კომისიისათვის მინიჭებულ ფუნქციებს ემატება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული ფუნქციები. ასევე, ახალი რედაქციით ყალიბდება იურიდიულ საკითხთა კომისიის სახელწოდება და მისი უფლება-მოვალეობები.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის **N2-1** დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი. აგრეთვე, საკრებულოს შემადგენლობაში ახალი, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტირების უზრუნველსაყოფად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-19 მუხლის მე-13 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლითაც გაიწერება სატრანსპორტო საკითხთა კომისიის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული საკითხები.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე საჭირო გახდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და აგრეთვე, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დებულებების შემუშავება. ასევე, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცალკეულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების განხორციელება.

ბატონმა **ლევანმა** აგრეთვე განმარტა, რომ საქართველოს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხორციელდება ცვლილებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ცალკეულ მუხლებსა და პუნქტებში.

როგორც ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განაცხადა, მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების უფრო სრულყოფილად დარეგულირების მიზნით, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს ემატება II[1] თავი, რომელიც უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს, როგორც მაჟორიტარი საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის მიზნებს, ფუნქციებსა და შემადგენლობას, ასევე წარმომადგენლობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს. შესაბამისად, მოხდება N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-16 მუხლის ამოღება.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** განაცხადა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ტყემალაძის მხრიდან, საკრებულოს სხდომაზე გაჟღერდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რეგლამენტთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მასში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შეიქმნებოდა კომისია. ქალბატონი **ლილე** დაინტერესდა, თუ რატომ არ შეიქმნა აღნიშნული კომისია და რატომ არ იყო ჩართული ნაციონალური მოძრაობა საკრებულოს რეგლამენტისა და კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებების განხილვაში.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელების საჭიროება და დროულად ამოქმედება, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მაჟორიტარების ოფისებმა შემლებისდაგვარად სწრაფად, დროულად და გამართულად დაიწყონ ფუნქციონირება. გარდა ამისა, აღნიშნული ცვლილებების შესახებ განცხადებები გაკეთდა არაერთხელ, მათ შორის საკრებულოს პირველ სხდომაზე, ხოლო აღნიშნული კომისიების მიმართებით განსახორციელებელმა ცვლილებებმა გამოიწვია ასევე სხვა, ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, რეგლამენტში შესატან ცვლილებებზე მუშაობა კვლავ გრძელდება და იგეგმება რეგლამენტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ფართო ფორმატში, მათ შორის ოპოზიციის ჩართულობით.

ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** ასევე გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკრებულოს რეგლამენტის მე-16-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტში გასწორდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მაჟორიტარი საკრებულოს წევრის ოფისის ფუნქციონირებისთვის ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ქ. თბილისის საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა 5000 (ხუთი ათასი) ლარი ხოლო ამ მუხლით გათვალისწინებული 5000 (ხუთი ათასი) ლარის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოთხოვნის საფუძველზე დარჩენილი თანხა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

ქალბატონი **ლილეს** განცხადებით, აღნიშნული ჩანაწერი იძლევა შესაძლებლობას, რომ ყოველთვიურად გამოყოფილი 5000 (ხუთი ათასი) ლარის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოთხოვნის საფუძველზე დარჩენილი თანხა დაემატოს მომდევნო თვეში გამოყოფილ ხუთი ათას ლარს.

ბატონმა **ლევანმა** ასევე დასძინა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი ცვლილებები არ ითვალისწინებს აღნიშნული მუხლის ცვლილებას და საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია კონსულტაციების გავლა უფრო ფართო ფორმატში, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დაანონსებული კომისიის ფარგლებში, ხოლო მოცემულ მომენტში აღნიშნული ჩანაწერი არანაირ პრობლემას არ ქმნის.

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრი ქალბატონი **ელენე ოზაშვილი** ასევე დაეთანხმა გაჟღერებულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ არსებული ჩანაწერი უნდა გასწორდეს იმგვარად, რომ არ დარჩეს არანაირი კითხვის ნიშნები.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა ასევე განაცხადა,** რომ კომისიებთან დაკავშირებით აქვს სხვა მოსაზრება და თვლის, რომ მოცემული მომენტისთვის სასურველია, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გაერთიანდეს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან ხოლო განათლებისა და კულტურის კომისია გაერთიანდეს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან.

ქალბატონმა **ლილემ** ასევე აღნიშნა, რომ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის გაერთიანებას იურიდიულ საკითხთა კომისიასთან, ვინაიდან თვლის, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვა არის მეტად პრიორიტეტული ვიდრე ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთან მიმართებაშიც უნდა ჩამოყალიბდეს ცალკე კომისია.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** უპასუხა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრს და განმარტა, რომ ქალაქში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის პირობებში, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხი მეტად აქტუალურია. აგრეთვე რაც შეეხება არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს, ადამიანის უფლებათა დაცვას ადგილობრივი თვითმმართველობის პირობებში, (რაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავებასა და ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებულ საჩივრებსა და განცხადებებზე რეაგირებას), იურიდიულ საკითხთა კომისიას უდავოდ გააჩნია საჭირო კომპეტენცია იმისა, რომ განიხილოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები და შეითავსოს აღნიშნული კომისიის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული ფუნქციები.

გადაწყვიტეს:

ქალბატონმა **ლილემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საკრებულოს რეგლამენტთან დაკავშირებული, განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა გადაიდოს და გაგრძელდეს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ

დაანონსებული კომისიის ფორმატში, ხოლო კომისიის ფარგლებში მიღებული ცვლილებები ამოქმედდეს 1 იანვრიდან.

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა წინადადებას, წარმოდგენილი საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

ასევე;

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მის საფუძველზე შესამუშავებელი და სხვა თანმდევ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე საკანონმდებლო პაკეტი განხილულ იქნეს ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების მე-3 მიკრორაიონის კორპუსი №28-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების მე-3მიკრორაიონის კორპუსი №28-ში მდებარე უძრავი ქონების **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**, მრავალშვილიანი დედისთვის, ელეონორა უგულავასთვის გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ბატონმა **ირაკლიმ** ასევე დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების მე-3 მიკრორაიონის №28 კორპუსში მდებარე უძრავი ქონების იმ პირისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა მოტივით გადაეცემა აღნიშნული უძრავი ქონება კონკრეტულად ელეონორა უგულავას, ვინაიდან არსებობს მსგავსი პრობლემის მქონე უამრავი მრავალშვილიანი ოჯახი.

ქალბატონმა **ლილემ** ასევე განაცხადა, რომ აღნიშნული უძრავი ქონება ფიქსირდებოდა კერძო მესაკუთრის, ვინმე პაატა დანდურიშვილის სახელზე, რომელსაც მიმდინარე სხდომაზე გადაეცემა უძრავი ქონება, ზემოხსენებული უძრავი ქონების მიმდებარედ. ქალბატონი ლილე დაინტერესდა, ხომ არ აქვს ადგილი რაიმე სახის ადგილმონაცვლეობას.

ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებლის მიმართ ასევე დასვა შეკითხვა და დაინტერესდა თუ რამდენ წელიწადს გულისხმობს ხანგრძლივი ვადა, რომლის საფუძველზეც ხდება ასეთი ტიპის უძრავი ქონების გადაცემა.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა,** მომხსენებელს ასევე შეახსენა, რომ მის მიერ გასულ სხდომაზე გაკეთდა განცხადება, რომლის მიხედვითაც მათი მხრიდან შემუშავდებოდა წესი, რომლითაც მოხდებოდა ასეთი ტიპის უძრავი ქონების გადაცემა და იქვე დასძინა, რომ პირადად იცნობს მრავალშვილიან ქალბატონს ელეონორა უგულავას და მიესალმება აღნიშნული ქონების მის საკუთრებაში გადაცემას.

ბატონი **ირაკლი თავართქილაძის** განმარტებით, აღნიშნული უძრავი ქონება დღეის მდგომარეობით წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, რომელშიც ხანგრძლივი დროით, თერთმეტი წელია ცხოვრობს აღნიშნული ოჯახი და რომლის პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** გადაცემა ხდება კანონისა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

ბატონმა **ირაკლიმ** იქვე დასძინა, რომ მსგავსი ტიპის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა არის მართველი გუნდის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი დაუჭირა ასევე საზოგადოების დიდმა ნაწილმა.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განცხადებით, ხანგრძლივი ვადის კრიტერიუმის დადგენა ითვლება მოთხოვნის წარმოშობიდან, მას შემდგომ რაც სახელმწიფოსთვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფოს კუთვნილ უძრავ ქონებაში შეიჭრნენ და ცხოვრობენ ადამიანები, ხოლო ქალბატონი ელეონორა უგულავას შემთხვევაში, გამგეობიდან მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით, აღნიშნული ოჯახი 11(თერთმეტი) წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ბატონი **ლევანის** თქმით, მსგავსი ტიპის უძრავი ქონების იმ ადამიანებისთვის დაკანონება, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართებზე არის სახელმწიფოს მხრიდან გაცხადებული პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც მხარი დაუჭირა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და რომლითაც სახელმწიფო ხელს უწყობს და ეხმარება ადამიანებს, რომ მათ საკუთრებაში მიიღონ აღნიშნული უძრავი ქონება, რათა თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგონ იგი და მიიღონ მთელი რიგი ბენეფიტები, რომელსაც იღებენ სხვა კერძო მესაკუთრეები.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ უნდა დადგინდეს და შემუშავდეს მთელი რიგი კრიტერიუმები რომლის საფუძველზეც მოხდება აღნიშნული ტიპის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული კანონის ნორმა შემხებლობაში არ არის წარმოდგენილ საკითხთან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #10-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.11.10.010) მდებარე 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფიზიკურ პირებისთვის გულნარა მაღრაძისთვის (პირადი ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01008020508) და ირინე სიამაშვილისთვის (პირადი ნომერი: 01018000241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 05 მაისის N01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების" საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკურ პირების: გულნარა მაღრაძის (პ/ნ: 01008012536), ლელა სიამაშვილის (პ/ნ: 01008020508) და ირინე სიამაშვილის (პ/ნ: 01018000241) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს **2011 წლის 5 მაისის** ბრძანების საფუძველზე, გულნარა მაღრაძეს, ლელა სიამაშვილს და ირინე სიამაშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, **2023 წლის 25 სექტემბრამდე** ვადით გადაეცათ ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. #10-ში **2 კვ.მ** მიწის ნაკვეთი, **კიბის უჯრედის განთავსების/მოწყობის მიზნით.**

მომხსენებლის თქმით წლიური აღნაგობის ღირებულება შეადგენს **68 (სამოცდარვა)** ლარს, გადახდა ხდება თანაბარწილად, 6 თვეში ერთხელ, **34 (ოცდათოთხმეტი)** ლარის ოდენობით

ხოლო აღნაგობის პირობების **თანახმად,** პირგასამტეხლო შეადგენს აღნაგობის საზღაურის 0.1%-ს, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

როგორც ბატონმა **ირაკლი თავართქილაძემ** განაცხადა, 2016 წლის 28 ნოემბერს აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ **34 (ოცდათოთხმეტი) ლარის** ნაცვლად, გადახდილი იქნა 32 (ოცდათორმეტი) ლარი, ანუ აღნაგობის საზღაურის გადასახდელ თანხას დააკლდა 2 (ორი) ლარი. აღნიშნული დავალიანება, აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ დაფარული იქნა **2017 წლის 5 ივნისს.** ამდენად, **2016 წლის 30 ნოემბრიდან 2017 წლის 5** ივნისის ჩათვლით, აღნაგობის უფლების მქონე პირებს დაერიცხათ **პირგასამტეხლო,** დღეში 1 (ერთი) ლარის ოდენობით, რაც ჯამში, 181 დღეზე განისაზღვრა **181 (ასოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობით.**

მომხსენებელმა დასძინა, რომ ირინე სიამაშვილის განცხადების საფუძველზე, რომელშიც იგი ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსგან ითხოვდა დარიცხული **პირგასამტეხლოს 181 (ასოთხმოცდაერთი) ლარის** პატიებას, საკითხი განსახილველად წარედგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების საფუძველზე შექმნილ კომისიას, რომელმაც იმსჯელა და ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია, მხარის გათავისუფლება ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს **2011 წლის 5 მაისის** ბრძანებაზე თანდართული „**აღნაგობის პირობების" საფუძველზე** დაკისრებული 181 (ასოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 22 დეკემბრის N19-78** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის **პირველი პუნქტი,** რომლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი **პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი.**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წამოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ვ" **ქვეპუნქტის,** ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ვ" **პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ.თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N76-ში მდებარე 189003 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 651 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი: 01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის - გივი გორდაძისთვის (პირადი ნომერი: 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ 2011 წლის 12 იანვრის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს N01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 5 მარტის N01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - გივი გორდაძის (პ/ნ: 01010003118) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, გიორგი გორდაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 2036 წლის 12 იანვრამდე ვადით, გადაცემული აქვს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N76-ში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 651 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საბავშვო ცენტრის განთავსების მიზნით.

მომხსენებლის თქმით, ყოველწლიურ საიჯარო ქირად განსაზღვრულია 8463 (რვა ათას ოთხას სამოცდასამი) ლარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად ყოველ 6 თვეში ერთხელ, 4231.5 ლარის ოდენობით, საიჯარო პირობების თანახმად კი პირგასამტეხლო შეადგენს საიჯარო ქირის 0.1%-ს (8.46 ლარი).

როგორც ბატონმა **ირაკლიმ** განმარტა, 2016 წლის სექტემბერში მოიჯარის მიერ 4231.5 (ოთხიათას ორას ოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ნაცვლად გადახდილ იქნა 4240 (ოთხიათას ორას ორმოცი) ლარი, ანუ 8.50 (რვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით ზედმეტი საიჯარო ქირა. ხოლო, 2017 წლის მარტში 4223 (ოთხიათას ორას ოცდასამი) ლარის ნაცვლად გივი გორდაძის მიერ გადახდილ იქნა 4221,96 (ოთხიათას ორას ოცდაერთი ლარი და ოთხოცდათექვსმეტი თეთრი), ამდენად, გადასახდელ საიჯარო ქირის სრულ ოდენობას დააკლდა 1.04 (ერთი ლარი და ოთხი თეთრი). გივი გორდაძის მიერ აღნიშნული დავალიანების დაფარვა მოხდა 2017 წლის აგვისტოში, შესაბამისად, 2017 წლის

მარტიდან 2017 წლის აგვისტოს ჩათვლით მას დაერიცხა პირგასამტეხლო დღეში 8.46 (რვა ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარის ოდენობით, რამაც ჯამში შეადგინა 1150.88 (ათას ორას ორმოცდაათი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი.

ბატონმა **ირაკლიმ** ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა გიორგი გორდაძემ და ითხოვა დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ, ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდგომ, მიზანშეწონილად მიიჩნია გიორგი გორდაძის დარიცხული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია ზემოაღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება და განაცხადა, რომ სასურველია ყოველ ჯერზე მიეწოდოს სრული დოკუმენტაცია, რომლითაც ხელმძღვანელობს თბილისის მთავრობა კონკრეტული სამართლებრივი აქტის წარმოების დროს და ასევე სასურველია აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი გახლდეს კომისიის სხდომაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ **თამარ მათიაშვილმა** აღნიშნა, რომ მათი მხრიდან, საკრებულოს განკარგულების პროექტთან ერთად ასევე გადმოგზავნილია საქმისწარმოების ფარგლებში არსებული სრული დოკუმენტაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ბატონმა **ირაკლი თავართქილაძემ** განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი ქალბატონ ლილეს დამატებით გამოუგზავნოს თბილისის მთავრობის განკარგულების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია და ასევე დასძინა, რომ ნებისმიერი განკარგულების წარმოებისას თბილისის მთავრობაც და სააგენტოც პასუხისმგებელია ფაქტობრივი გარემოებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობაზე.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებში ასევე, მიეთითოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი.

ამასთან, **იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს,** რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის **„დ.ვ“ ქვეპუნქტის, ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ვ“ პუნქტი,** ამდენად, მიზანშეწონილია შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 75-ე მუხლის „დ.ვ“ პუნქტის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში (საკადასტრო კოდი N01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი #11-ში მდებარე უძრავი ქონების, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** იმ პირთათვის (სულ 32 პირი) საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში №11 კორპუსში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული კანონის ნორმა შემხებლობაში არ არის წარმოდგენილ საკითხთან.

ამასთან, **თავმჯდომარის** თქმით, წამოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ა“ **ქვეპუნქტის**, ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ა“ **პუნქტი**, რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა**,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “2009 წლის 20 თებერვალის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ” ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2009 წლის 20 თებერვალს გაფორმებული "ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე **შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს"** პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების უფლებით გადაეცა შემდეგი ქონება:

სატრანსფორმატორო ქვესადგური; დ/ძ-ის გამანაწილებელი კარადა; საკაბელო ხაზები; გადამცემი რადიოცენტრის ღობე; **დიზელ გენერატორი,** მ/ძაბვიანი მანაწილებელი მოწყობილობა და ტრანფორმატორები; ნასყიდობის ფასი განისაზღვრა სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) **ლარად**, ხოლო მყიდველს დაეკისრა პასუხისმგებლობა გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე. მათ შორის, **დიზელ გენერატორის** მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

როგორც ბატონმა **ირაკლიმ** განაცხადა, შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა" წერილით მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომ დაედგინათ აკმაყოფილებდა თუ არა დიზელ გენერატორი უნივერსიტეტის უწყვეტი ელექტრომომარაგების მოთხოვნას და მისი სიმძლავრიდან გამომდინარე, უზრუნველყოფდა თუ არა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ გარემოს, შედეგად კი „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა" წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც:

- 1984 წელს გამოშვებული დიზელ-გენერატორი, რომლის აქტიური სიმძლავრე შეადგენს 60 კვტ-ს ვერ დააკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ, უწყვეტი ელექტრომომარაგებისათვის მოთხოვნილ 500 კვტ სიმძლავრეს.
- აღნიშნული დიზელ-გენერატორის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ავტომატური გაშვების სისტემით უზრუნველყოფა, რის გამოც საკმაო დროით მოხდება ელექტრომომარაგების შეწყვეტა.
- აღნიშნული დიზელ გენერატორი, როგორც ადგილზე დათვალიერებით დგინდება, საჭიროებს კაპიტალურ პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიამ მოითხოვა 2009 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე **უნივერსიტეტისთვის** დაკისრებული **დიზელ გენერატორთან** დაკავშირებული **ვალდებულების** მოხსნა და **გადაცემული ქონების თბილისის** თვითმმართველი **ერთეულისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში დაბრუნება.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების საფუძველზე შექმნილმა

კომისიამ, კომისიის სხდომაზე, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მიზანშეწონილად მიიჩნია **2009 წლის 20 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ნასყიდობის ობიექტებიდან მოძრავი ქონების - დიზელ გენერატორის ამოღება**, ამასთან, კომისიამ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, კომპანიამ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დიზელ გენერატორის ტრანსპორტირება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და მოძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოცემა.

ბატონმა **ირაკლი თავართქილაძემ** დაამატა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, 2009 წლის 20 თებერვლის "ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ობიექტებიდან „ვ" პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის - დიზელ გენერატორის ამოღების საკითხის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განაცხადა, რომ განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 **პუნქტი** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ პირველი პუნქტიდან ამოღებულ უნდა იქნეს მითითება მთავრობის N44.23.873 განკარგულებაზე და ხსენებულ განკარგულებაზე მითითება ჩაემატოს განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში. ასევე ამოღებულ იქნეს არა „ვ" პუნქტი, არამედ „ვ" პუნქტით გათვალისწინებული მოძრავი ქონება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამართლებრივი საფუძვლები და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 127^2 მუხლის მე-2 პუნქტისა და 2009 წლის 20 თებერვლის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში (სანოტარომოქმედების რეგისტრაციის N632/1) ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის N44.23.873 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. „შევიდეს ცვლილება 2009 წლის 20 თებერვლის "ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ"

ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქ. რეგ. N632/1), კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული მოძრავი ქონების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული ობიექტი - დიზელ გენერატორი (ექსპ.შესვლის წელი1998) და ნასყიდობის საგნად განისაზღვროს:

ა) სატრანსფორმატორო ქვესადგური N13ა (ექსპ.შესვლის წელი 1985);
ბ) 04 კვ-იანი დ/ძ-ის გამანაწილებელი კარადა შო 70 (ექსპ.შესვლის წელი 2007);
გ) საკაბელო ხაზი 35/6 სქ 13ა 820 მ (ექსპ.შესვლის წელი 2007);
დ) საკაბელო ხაზის ქ 1ა-13ა 1340 მ (ექსპ.შესვლის წელი 2007);
ე) გადამცემი რადიოცენტრის ღობე (ექსპ.შესვლის წელი 1999);
ვ) მ/ძაბვიანი მანაწილებელი მოწყობილობა - კსო-366 (ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1975);
ზ) ტრანსფორმატორი (ექსპ.შესვლის წელი 1980);
თ) ტრანსფორმატორი ტმ-160/6 N893 (ექსპ.შესვლის წელი 1998);“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯაფარიძე